ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა- და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ივლისის 1.	№ 12 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 129. 1930-31 წელს პოლეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სათავსებით უზრუნველსაყოფად და საშემოდგომო მიმოზიდვების პერიოდში პოლეული ტვირთისა და სხვა საკონლის მსვლელობის საქმეში მოსალოდნელ სიძნელეთა შესასუსტებლად საჭირო ღონისძიების შესახებ.

„ 130. ა/კსფსრ-ის 1930-31 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის წესისა და ვადების შესახებ.

„ 131. „1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 132. მიმოზიდვების გეგმიანობის გაძლიერებისა და ა/კსფსრ ტრანსპორტის თანაბრად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 133. სტატისტიკური აღნუსხვისა და საუწყებო ანგარიშგების მიზნით დასახლებული ადგილების ქალაქთა და სოფელთა რიცხვისათვის მიკუთვნების ერთიანი პრინციპის დამყარების შესახებ.

„ 134. დებულება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის შესახებ.

„ 135. ა/კსფსრ-ში ავტოტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

„ 136. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმისა და 1930 წლისათვის ამ გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

„ 137. 1929-30 წელს კოლექტიურ მეურნეობათაგან გადასახდეველ ნებელი სასაძოვრო იჯარის განაკვეთების დაწესების შესახებ.

„ 138. 1928 წ. საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-11 მუხლისათვის „ო„ ლიტერის დამატებისა და მე-13 მუხლის „ზ“ ლიტერის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„ 139. საზაფხულო საძოვრების გამოყენებისა და მომთაბარეთათვის აგრო-ზოოტეხნიკური, სამეურნეო და სავეტერინარო დახმარების გაწევის შესახებ.

„ 140. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ.

„ 141. ძვირფასი ლითონებისა და ქვების ნაკეთობათა და აგრეთვე მარგალიტის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის მოსპობისა და სარეალიზაციოდ რესპუბლიკანურ სავაჭრო საწარმოთათვის გადაცემის შესახებ.

„ 142. „ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთავის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„ 143. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 144. სასურსათო პროდუქტების წვრილი ცალობითი ვაჭრობის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და ა/კსფსრ ტერიტორიაზე გლეხების მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესახებ.

„ 145. წყალთა მეურნეობის 1929-30 წლის ოპერატიული გეგმის შესრულების შესამოწმებლად დროებითი კომისიის მოწყობის შესახებ.

„ 146. სამინდე გამოსაღების შესახებ.

დადგენილება № 249 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

129. 1930/31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სათავსებით უზრუნველსაყოფად და საშემოდგომო მიმოზიდვების პერიოდში პურეული ტვირთისა და სხვა საქონლის მსვლელობის საქმეში მოსალოდნელ სიძნელეთა შესასუტებლად საჭირო ღონისძიების შესახებ.

პურეულის დამზადების პერიოდში პურეულისა და სხვა ტვირთის მსვლელობის საქმეში მოსალოდნელ სიძნელეთა შესასუტებლად და აგრეთვე 1930-31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სათავსებით უზრუნველსაყოფად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

1. შემოდგომის პერიოდში, როდესაც პურეული ტვირთის მიმოზიდვა ინტენსიურ ხასიათს იღებს და ამისგამო საჭიროა ტრანსპორტის განტვირთვა მეტის-მეტი მუშაობისაგან, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა და მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა ზაფხულის თვეებში გაძლიერებულ იქნეს იმ საქონლითა გადაზიდვის ტემპი, რომელთა დამზადება და გადაზიდვა დაკავშირებული არ არის შემოდგომის პერიოდთან (შეშა, საშენი მასალა, ხეტყე, მადანი, ქვანახშირი და სხვა მასალა).

2. მიემგროს 1930-31 წელში „სოიუზხლებ“-ს ის, პურეული ტვირთისათვის ვარგისი, საწყობები, რაც მიეჩინა მას იჯარის საფუძველზე და მობილიზაციის წესით 1929-30 წლის საპურეულო კამპანიის დროს.

3. ტრანსპორტის ორგანოების საწყობების მიმართ, თანახმად სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატსა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატ შორის მომხდარი შეთანხმებისა, დაეკალოს ტრანსპორტის ორგანოებს მიუჩინონ „სოიუზხლებ"-ს ა/კსფსრ ტერიტორიაზე პურის შესანახად:

ა) პურის შესანახად ვარგისი საწყობები საერთო ტევადობით 10.000 ტონისა;

ბ) საპორტო საწყობები, რაც 1929-30 წლის კამპანიის დროს ეჭირა პურეულ ტვირთს;

გ) ტრანსპორტის ორგანოების მიერ არგამოყენებული დეპოები, სახელოსნოები და სხვა არასასაწყობო შენობები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პურეულის შესანახად.

4. „სოიუზხლებ"-მა, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა ერთი კვირის ვადაზე უნდა დაამთავრონ პურეული ტვირთისათვის საჭირო სასაწყობო ფართობის აღნუსხვა. აღგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ორი კვირის ვადაზე უნდა დაამთავრონ პურეული ტვირთისათვის ქალაქებსა და პორტებში აღნუსხული საწყობების გადაცემა „სოიუზხლებ"-ისათვის, ხოლო შიდა პუნქტებში—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის.

5. „სოიუზხლებ"-ისათვის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადაცემული საწყობების საიჯარო ქირა განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით: რკინის გზაზე მდებარე პაკჰაუზის ტიპის საწყობებისა, აგრეთვე საპორტო საწყობებისა—16,5 კაპ. კვადრ. მეტრზე თვიურად; ქალაქად მდებარე არასარკინისგზო და არასანავთსაყუდო საწყობისა—12 კაპ. კვ. მეტრზე თვიურად; სხვა საწყობისა—10 კაპ. კვ. მეტრზე თვიურად.

6. ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული პურეული ტვირთის ტრანსპორტის ორგანოების საწყობებში შენახვა სწარმოებს იმ გენერალური ხელშეკრულობის პირობების მიხედვით, რაც დაიდება გზათა სახალხო კომისარიატსა და „სოიუზხლებ"-ის გამგეობას შორის.

7. „სოიუზხლებ"-ის პერით დაჭერილი საწყობების რემონტი სწარმოებს საწყობების საიჯარო ქირის ხარჯზე.

8. „სოიუზხლებ"-მა, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა და ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთმა ყველა იმ საწყობის შენება და გაწყობა, რომელთა მშენებლობაც განზრახულია 1929-30 წელს, უნდა დაამთავრონ: ივლისის 15-თვის—ადგილობრივ დამზადებული პურეული ტვირთის შესანახად დანიშნული საწყობებისა და ოქტომბრის 1-თვის—შემოტანილი პურეულის შესანახად დანიშნული საწყობებისა. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უნდა გარდაანაწილოს საშენი მასალების ფონდები და სრულად დააკმაყოფილოს ივნისში „სოიუზხლებ"-ისა და ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთის განცხადებანი საშენი მასალის შესახებ.

9. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალო კომისართა საბჭოებმა წინადადება უნდა მისცენ საშინამრეწველო-სარეწაო კავშირებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მაღ ერთი თვის ვადაზე დაამთავრონ იმ ღონისძიებათა დამუშავება, რაც უზრუნველჰყოფს პურეულის დამზადების წინამდებარე კამპანიის პერიოდში შიდა პუნქტებიდან პურეული ტვირთის ჯაპანზიდვის საშუალებით გადაზიდვას სარკინისგზო და სანავთსაყუდო პუნქტებმდე (განამტკიცონ ჯაპანზიდვის ტრანსპორტის არტელები და შეაკეთონ გზები).

10. მიენდოს სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის მიერ რკინის გზების მზიდველობისა და გამტარებლობისა და სასაწყობო მეურნეობის გასაძლიერებლად განზრახული ღონისძიებანი განხორციელებულ იქნეს პურეულის დამზადების კამპანიის დასაწყისისათვის.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა უნდა აღნუსხონ მათი ქვემდებარე ორგანიზაციების ყველა ბრეზენტი ისეთი პირობით, რომ უკეთუ საჭირო იქნება, გადასცენ „სოიუზხლებ“-ს სათანადო რაოდენობის ბრეზენტი.

ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელზედაც ირიცხება ტარა-ტომრების დავალიანება „სოიუზხლებ“-ისა, უნდა დაჰფაროს ეს დავალიანება და თანაც გადასცეს მასვე მთელი თავისუფალი ტარა, საიდანაც უნდა იყოს იგი მიღებული, არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 1-სა.

11. წინადადება მიეცეს ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთს:

ა) გამოიყენოს პირველ რიგში მისთვის გადაცემული საქალაქო სადგურებისა, ტრანსპორტისა და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საწყობები პურეული ტვირთის ხანგრძლივი შენახვისათვის;

ბ) პურეულის დამზადების კამპანიის დაწყებამდე დაიმუშაოს საკითხი საერთო სარგებლობის საავტომობილო-სატრანსპორტო მეურნეობის გაძლიერების შესახებ, რაც ადგილობრივ საჭიროა საავტომობილო ტრანსპორტი პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს პურეულის დამზადების კამპანიისათვის.

12. ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციამ, სახელმწიფო სამდინარეო ფლოტისა და შავიზღვისა და კასპის ზღვის ბასეინების საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ამიერკავკასიის სამმართველოებმა ორი კვირის ვადაზე უნდა აღასრულონ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 26-ის დადგენილება—„გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებში რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა თავმოყრის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 154).

13. ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელიც ანხორციელებს ვაგონებით გადაზიდვას, არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 10-ისა, უნდა დაამთავროს სატრანსპორტო-საგეგმო უჯრედების ორგანიზაცია იქ, სადაც ასეთი უჯრედი შემოღებულია, და წარუდგინოს ამიერკავკასიის სამიმოზიდვო სარაინონ კომიტეტს დაწესებულ ვადაზე თავისი გეგმები 1930-31 წ. მიმოზიდვებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

14. ამა დადგენილების 1-ლ განყოფილებაში აღნიშნული ყველა წინადადების განხორციელების დროს აღძრულ სიძნელეთა გადასაწყვეტად და „1930-31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სათავსებით უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივნისის 1-ის დადგენილების შესაბამისად—მოწყობილ იქნეს, პურეულის დამზადების კამპანიის პერიოდის განმავლობაში მოქმედებისთვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სამთავრობო კომისია—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბეგზადიანის თავმჯდომარეობით და წევრთა ამხან. ამხ. ბუკრეევისა, რედელსისა, ხაჩიევისა და მაკალსკის შედგენილობით.

15. მე-14 მუხლში აღნიშნულ კომისიას დაეკისროს—გადაამწყვეტოს ხოლმე საკითხები პურეულის დამზადებისა და პურეულის შემოზიდვის სასაწყობო სათავსებით და ტარა-ტომრებით უზრუნველყოფის შესახებ; აგრეთვე აარიდოს ამ საქმეს მოსალოდნელი დაბრკოლებანი პურეული ტვირთისა და სხვა სასურსათო ტვირთის რკინის გზით, წყალსავალი გზით და ურელსო გზით მოძრაობის დროს.

16. კომისიის განკარგულებანი სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისათვის ა/კსფსრ-ში.

17. კომისიას უფლება აქვს, როცა საჭიროდ დაინახავს, გადასცეს ხოლმე პურეულის დამმზადებელ და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს როგორც სასაწყობო, ისე არასასაწყობო, პურეულის შესანახად ვარგისი სათავსები, რაც სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეკუთვნის.

18. კომისიას უფლება აქვს გადასცეს „სოიუზხლებ“-ს დროებითი სარგებლობისათვის მისთვის საჭირო ტარა (ტომრები, ბრეზენტები), რაც სხვა ორგანიზაციების ხელშია.

19. ის პირი, ვინც არ შეასრულებს ან ზედმიწევნით არ შეასრულებს კომისიის განკარგულებას, მიიცემა კომისიის მიერ პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სასამართლოს წესით.

20. უკეთუ საჭიროა ადგილებზე სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელება, კომისიისათვის მინიჭებული უფლებანი ეძლევა კომისიის წევრს თვითეულს ცალ-ცალკე.

III

21. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ ორი კვირის ვადაზე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და აგრეთვე იმ ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სადაც პურეულის დამზადების რაიონებია და ტვირთის ბლომად თავმოყრის პუნქტები, სამთავრობო კომისიები რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავჯდომარეების მოადგილეთა თავჯდომარეობით (სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ კომისიებში) და ადგილობრივი კომიტეტების თავჯდომარეების მოადგილეთა თავმჯდომარეობით (საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებში); ამ კომისიების შედგენილობაში შეეკენ რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისრები, რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების თავჯდომარეები ან მათი წარმომადგენელნი რაიონებში, აგრეთვე „სოიუზხლებ"-ისა და რკინის გზების წარმომადგენელნი.

22. 21 მუხლის თანახმად მოსაწყობ კომისიებს მიენიჭოს ტერიტორიალურად ყველა ის უფლება, რაც გათვალისწინებულია ზევით ამა დადგენილების მე-14 მუხლში აღნიშნული კომისიისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 18.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 162 №-ში 1930 წ. ივნისის 20-ს.

დადგენილება № 250 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

130. ა/კსფსრ-ის 1930-31 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის წესისა და ვადების შესახებ.

ა/კსფსრ-ის 1930-31 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის თავის დროზე დამტკიცებისა და განსაზღვრულ ვადაზე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი არა უგვიანეს ხუთი დღისა მას შემდეგ, რაც იგი მიიღებს სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განზრახულებათ სსრკ-ის 1930-31 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებელი ზრდის საერთო პერსპექტივებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების დაბალანსების თაობაზე, აცნობებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და აგრეთვე საამიერკავკასიო უწყებებს თავის მოსაზრებებს ამ საკითხების გამო.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ა/კსფსრ უწყებების ხარჯთაღრიცხვები შედგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ განზრახულებათა ანგარიშში მიიღებით.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები წარედგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ასლები ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1930 წ. ივლისის 20-სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ასლს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1930 წ. აგვისტოს 5-სა.

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნას ბიუჯეტის პროექტის თაობაზე 1930 წ. აგვისტოს 15-ს.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო იხილავს და ადასტურებს:

ა) ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს და საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის ცალკეულ შემოსავალს სათანადო სბალანსო ჯუმლების ყველა სახარჯთაღრიცხვო დანაყოფის მიხედვით;

ბ) საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის ხარჯებს სბალანსო ჯუმლის მიხედვით—კრედიტების მთავარ განმკარგულებლებზე დაყოფით საჯამო თანხებად;

გ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების სბალანსო ჯუმლებს;

დ) ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სბალანსო ჯუმლს.

5. ყველა იმ უწყებისა და დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დაფინანსებულ უნდა იქნეს საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით, წარედგინება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1930 წ. ივლისის 10-ის.

6. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დაწვრილებითი წესები 1930-31 საბიუჯეტო წლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების შედგენის თაობაზე.

7. ის სადავო საკითხები საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში შემავალი საუწყებო ხარჯთაღრიცხვების გამო, რაც გადაუწყვეტელი დარჩება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, გადაწყდება ა/კსფსრ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრებისა და დაინტერესებული უწყების ხელმძღვანელის შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, სადავო საკითხებს საბოლოდ გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესისამებრ.

8. ა/კსფსრ უწყებათა ხარჯთაღრიცხვებით ნავარაუდევი ასსიგნები, რაც შეთანხმებულ იქნება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, შეიტანება ბიუჯეტის პროექტში თათბირის მიერ მიღებული რაოდენობით, ხოლო არშეთანხმებული ასიგნები—ისეთი რაოდენობით, რასაც მიიღებს უმეტესობა წინა მუხლში აღნიშნული წესით შეუთანხმებლობათა გადაწყვეტის დროს.

9. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გადასადები ასსიგნები სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად განისაზღვრება იმავე დროს, როდესაც აღრიცხულ იქნება ხარჯები ერთიანი საფინანსო გეგმით, და ბიუჯეტის პროექტში შეიტანება საერთო რაოდენობით სახალხო მეურნეობის თვითვეული დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისათვის, ბიუჯეტის საგნობრივ-მიზნობრივი ჯუმლის მიხედვით (მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ელექტროფიკაციისა და სხვ.).

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების შედგენისა და განხილვის წესი და ვადები განისაზღვრება ამ რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმასრ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 19.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 165 №-ში 1930 წ. ივნისის 23-ს.

დადგენილება № 251 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

131. „1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-11 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, უკეთუ მას აქვს შემდეგი ნიშნები:

ა) უკეთუ მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების უკიდურეს რაოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-ძალის დაქირავების უკიდურესი რაოდენობა, რაც არ იწვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, განსაზღვრულ იქნეს:

საბალე სამეურნეობისათვის	50	დღე;
კულტურული ბალებისათვის	75	„
სავენახე მეურნეობისათვის	100	„
კულტურული ვენახებისთვის	150	„
საბრინჯე მეურნეობისათვის	50	„
საბრინჯე მეურნ. ლენქორანის ოლქში . .	75	„
ჩაის მეურნეობისათვის	125	„
ბამბის მეურნეობისათვის	150	„
თამბაქოს მეურნეობისათვის	240	„
სამესაქონლო მეურნეობისათვის	1	მწყემსი (იმ პირობით, უკეთუ მწყემსის შრომას აქვს დამხმარე ხასიათი და თანაც, უკეთუ მეურნეობაში მყოფი შრომისუნარიანი წევრები მონაწილეობას იღებენ მეურნეობის ყოველდღიურ მუშაობაში);

შინამრეწველ-ხელოსნებისათვის — 1 მოზრდილი მუშა ან 2 შეგირდი, უკეთუ მუშის ან შეგირდების დაქირავება გამოწვეულია წარმოების პირობებით.

შენიშვნა 1. მუშა-ძალის დაქირავების უკიდურეს რაოდენობას სამარცვლეულო მეურნეობათათვის იმ რაიონებში, სადაც ეს საჭიროა კლიმატიური და სხვა პირობების გამო, დააწესებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, და იგი არ უნდ. აღემატებოდეს 35 დღეს.

შენიშვნა 2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ შეამცირონ ეს უკიდურესი ნორმები ცალკეული რაიონებისათვის.

ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის (მუშა-ქალის) ყოლა მეურნეობაში და სასეზონო დღეები ზემოაღნიშნულ ფარგლებში როდი ჩაითვლება კულაკური მეურნეობის ნიშნად, უკეთუ მეურნეობას არა ჰყავს შრომისუნარიანი მამაკაცი, ან უკეთუ შრომისუნარიანი მძიმე ავადმყოფია, სამსახურში იმყოფება ან წასულია;

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღვები, ბურღულის საფქველი, ფეტვის საფქველი, საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კართოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი და საცეხველი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი ან ქარის თუ წყლის ძალა;

გ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად ცალკეულ რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით, ან აწარმოებს ამ მანქანით სხვა მეურნეობათათვის მუშაობას სასყიდლით;

დ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად გაწყობილ შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) უკეთუ მეურნეობა იჯარით იღებს მიწას გამცემისათვის კაბალური პირობით;

ვ) უკეთუ მეურნეობა იჯარით იღებს სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით ბაღს, ვენახს და სხვ.;

ზ) უკეთუ მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მევახშეობას ან მას აქვს არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის რელიგიური კულტის მსახური).

შენიშვნა 1. მეურნეობის არაშრომითი შემოსავალი არა უმეტეს 200 მანეთისა წელიწადში არ შეადგენს კულაკური მეურნეობის ნიშანს; ეს გამონაკლისი არა ვრცელდება ისეთ შემოსავალზე, რაც მიღებულია მევახშეობით და რელიგიური კულტის მსახურობით).

შენიშვნა 2. უკეთუ მეურნეობის შედგენილობაში შედის ისეთი პირი, ვინც, განსაკუთრებული მიზეზების გამო, ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორც მაგალითად—შრომისა და ომის ინვალიდი, რომელიც ვაჭრობს უსასყიდლო სარეგისტრაციო მოწმობით,—აღნიშნული მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ შეავსონ ეს ნუსხა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით."

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 19.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 165 №-ში 1930 წ. ივნისის 23-ს.

დადგენილება № 253 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

132. მიმოზიდვების გეგმიანობის გაძლიერებისა და ა/კსფსრ ტრანსპორტის თანაბრად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1. ამიერკავკასიის რკინის გზებით მიმოზიდვის წარმოების გეგმაიანობის გასაძლიერებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა გეგმამ სრულად მოიცვას მთელი მიმოზიდვის წარმოება, რისთვისაც გაფართოებულ უნდა იქნეს პასუხსაგები დაგეგმულების ტვირთთა ნომენკლატურა და მიენდოს ამიერკავკასიის სამიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდვო სარაიონო კომიტეტს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე საკითხი დაგეგმვის არსებული მეთოდების გაზუსტების თაობაზე და გაითვალისწინოს კლიენტურის პასუხისმგებლობა მიმოზიდვის გეგმების დარღვევისათვის.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რიკინის გზების დირექციას და კლიენტურას ზედმიწევნით მისდიონ მიმოზიდვებ ის გეგმებს, რასაც შეიმუშავებს ამიერკავკასიის სამიმოზიდვო სარაიონო კომიტეტი და გეგმის-გარეშე მიმოზიდვები აწარმოონ რიგობის წესისამებრ.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიიღონ რაც შეიძლება გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა მათმა ქვემდებარე დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა თავის დროზე წარადგინონ ამიერკავკასიის სამიმოზიდვო სარაიონო კომიტეტში გადაზიდვებისათვის დაწესებული გეგმები და რეალური განცხადებები და დაწესებულების ის ხელმძღვანელი, ვინც არ დაიცავს ამა მუხლს, მისცენ პასუხისგებაში სადისციპლინო წესით, რაც გამოაქვეყნონ პრესსაში.

4. დაეკალოს ყველა ორგანიზაციას და დაწესებულებას, მიმოზიდვების წლიური გეგმის შედგენის დროს, მაქსიმალურად გამოიყენონ საგაზაფხულო და საზაფხოო პერიოდები, რათა რკინისგზების მუშაობაში მთელი წლის მანძილზე მიღწეულ იქნეს თანაბრობა.

5. უცილობლად აეკრძალოს ტვირთის ყველა გამგზავნელსა და მიმღებს შემხვედრი გადაზიდვა, რისთვისაც მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას და ამიერკავკასიის სამიმოზიდვო სარაიონო კომიტეტს ყოველი შემთხვევა ასეთი გადაზიდვისა დაუყოვნებლივ აცნობონ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დამნაშავე პირთა სასტიკ პასუხისგებაში მისაცემად.

6. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებას რკინის გზისაგან დახურული ვაგონების მოთხოვნა ისეთი ტვირთისათვის, რის უზიანებლად გადაზიდვა შეიძლება ახდილი მოძრავი შედგენილობით.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა, გამოუკლებლივ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს, მისი ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, აუცილებლად დაიცვას ამიერკავკასიის სამიმოზიდვო სარაიონო კომიტეტისათვის წარდგენილი განცხადებები გადაზიდვების შესახებ.

8. უცილობლად აეკრძალოს ტრანსპორტის კლიენტურას ვაგონების მოცდენა დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის და აგრეთვე მიღებული ტვირთის გამოყიდვის დაყოვნება; ჯარიმები მოცდენისა და თავის დროზე გამოუსყიდველობისათვის უნდა მიეწეროს ამაში უშუალოდ დამნაშავე პირს.

9. სატვირთო სადგურების მუშაობის გასაადვილებლად და გასამარტივებლად წინადადება მიეცეს ამაერკავკასიის რკინის გზების დირექციას დაიჩქაროს დატვირთვისა და გადმოტვირთვის სრული ან ნაწილობრივი მექანიზაციის განხორციელება ამიერკავკასიის რკინის გზების ყველა სადგურზე, განსაკუთრებით განმკარგულებელ სადგურებზე.

10. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირიექციას შეიმუშაოს, ამიერკავკასიის სარაიონო სამიმოზიდვო კომიტეტთან და საუწყებათაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისო სატარიფო თათბირთან ერთად, საკითხი ცარიელი ვაგონების მიმოსვლის გამოყენების შესახებ—ამ მიმოსვლისთვის ტვირთის მოპოვებით.

11. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სარაიონო სამიმოზიდვო კომიტეტს, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციასთან და საბჭოთა საკავშრო ფლოტთან ერთად, შეიმუშაოს საკითხი—ფოთზე შერეული მიმოსვლით გადაზიდვების გაძლიერების შესახებ—ამ მიმოსვლაზე იმ ტვირთთა ნაწილის გადატანით, რაც ამ ჟამად გარემოვლით დერბენტზე მოდის (პერეული ტვირთი, ცემენტი, შაქარი, ხეტყე და სხვ.), რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის დამთავრება, რაც გაადლიერებს ამ უბნის სამზიდველო და საგამტარებლო შესაძლებლობას.

12. წინადადება მიეცეს იმავე ორგანიზაციებს შეიმუშაონ ანალოგიური საკითხი ამიერკავკასია-ამიერკასპის-ვოლგის მიმოსვლის ფორსირების შესახებ განსაკუთრებით ხეტყის ტვირთთათვის.

13. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სარაიონო სამიმოზიდვო კომიტეტს, სამდინარეო ფლოტის ამიერკავკასიის სახელმწიფო სამართველოსთან ერთად, შეიმუშაოს საკითხი—ა/კსფსრ შინა-წყალსავალი გზების გამოყენების საქმის გაძლიერების შესახებ—ამიერკავკასიის რკინის გზების ტვირთთა ერთი ნაწილის წყლის ტრანსპორტისათვის გადაცემით.

14. წინადადება მიეცეს ტრანსპორტის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამმართველოს, ამიერკავკასიის სარაიონო სამიმოზიდვო კომიტეტთან და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების საქმის გასაუმჯობესებლად—ტვირთის სადგურებამდე მიზიდვისა და ტვირთის სადგურებიდან გამოზიდვისათვის; ამასთანავე, ყოველმხრივ გაძლიერებულ უნდა იქნეს ავტო-მანქანების მიმოსვლა და თავიდან აცილებულ უნდა იქნეს მათი მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

15. წინადადება მიეცეს ტრანსპორტის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამმართველოს, დაინტერესებულ დაწესებულებებთან ერთად, შეიმუშაოს საკითხი ა/კსფსრ-ში შერეული სარკინისგზო-საავტომობილო-საწყალსავალო სატვირთო, სამგზავრო და საბარგო მიმოსვლათა შემოღების შესახებ.

16. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას და ამიერკავკასიის სარაიონო სამიმოზიდვო კომიტეტს—ყველა თვალსაჩინო დამახასიათებელი შემთხვევა მიმოზიდვათა გეგმის დარღვევისა გადაატანონ ხოლმე განსახილველად ტრანსპორტელთა და კლიენტურის ფართო მასსებში.

17. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, სამი თვის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების მიმქვეყნების დღიდან, შეამოწმოს სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მისი შესრულება და ამის შედეგი მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 254 ა/კსშსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

133. სტატისტიკური აღნუსხვისა და საუწყებო ანგარიშგების მიზნით დასახლებული ადგილების ქალაქთა და სოფელთა რიცხვისათვის მიკუთვნების ერთიანი პრინციპის დამყარების შესახებ.

რათა საუწყებო ანგარიშგებაში და სტატისტიკურ აღნუსხვაში შეტანილ იქნეს ერთსახეობა და აგრეთვე მიღწეულ იქნეს ანგარიშგებისა და აღნუსხვის სხვადასხვა წყაროების შედეგების თანაფარდობა ქალაქისა და სოფლის ხაზით,—ა/კსშსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დასახლებული ადგილების ქალაქსა და სოფელზე დაყოფის დროს, ქალაქ-ადგილთა რიცხვს,—გარდა იმ ქალაქებისა, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა და მუშათა დასახლებულობებისა (პოსოლკებისა), რომლებიც ამ სახით ცნობილ იქნებიან ა/კსშსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ,—სტატისტიკური აღნუსხვისა და საუწყებო ანგარიშგების მიზნებისათვის, პირობით მიეკუთვნოს:

ა) ის დასახლებულობანი ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვა სავაჭრო-სამრეწველო და სამშენებლო საწარმოსთან, სადაც მოსახლეობა 500 მცხოვრებზე ნაკლები არ არის;

ბ) ის დასახლებულობანი რკინის სადგურებთან და ელექტრო-სადგურებთან პორტებთან, მდინარის ნავთსაყუდებთან და ნავთმისადგომებთან, აგრეთვე საგარაკო, საკურორტო და სამკურნალო დასახლებულობანი, სადაც მოსახლეობა 500 მცხოვრებზე ნაკლები არ არის, იმ პირობით, რომ თვითმოქმედი მოსახლეობის ნახევარზე მეტს ძირითადი მოსაქმეობა სასოფლო მეურნეობის გარეშე ჰქონდეს;

გ) ის დაბები და სავაჭრო-სამრეწველო სოფლები, სადაც მოსახლეობა 2.000 სულზე ნაკლები არ არის, იმ პირობით, რომ თვითმოქმედი მოსახლეობის ნახევარზე მეტს ძირითადი მოსაქმეობა სასოფლო მეურნეობის გარეშე ჰქონდეს.

2. 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული დასახლებული ადგილების სიების შედგენა და დამტკიცება სწარმოებს შემდეგი წესისამებრ:

ა) ა/კსშსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, მათ ხელთ ქონებული მასალების მიხედვით და ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საფუძვლების სახელმძღვანელოდ მიღებით, შეადგენენ, არა უგვიანეს 1930 წ. ივნისის 15-სა, დასახლებული ქალაქ-ადგილების სიებს და, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმების შემდეგ, წარუდგენენ ამ სიებს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს (თათბირებს) განსახილველად;

ბ) რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოების მიერ განხილული დასახლებული ადგილების სიები ივლისის 1-თვის გაეგზავნება ა/კსშსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რომელიც, არა უგვიანეს ივლისის 15-სა, წარუდგენს ამ სიებს ა/კსშსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დასახლებული ადგილების სიები, განსაკუთრებული დადგენილების წესისამებრ, გამოქვეყნებულ იქნება პრესაში; ამის შემდეგ ა/კსფსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულება მიიღებს ამ სიებს სახელმძღვანელოდ მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც საუწყებო ანგარიშგებაში და სტატისტიკურ აღნუსხვაში საჭიროდ იქნება ცნობილი მასალის ქალაქისა და სოფლის ხაზით დაყოფა.

3. 1930 წელს დამტკიცებული დასახლებული ადგილების სიები, შემდგომ ყოველ წელს, მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული წესის მიხედვით, გადაისინჯება შემდეგ ვადებზე: რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოები უგზავნიან სიებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თებერვლის 1-თვის, ხოლო ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია არდგენს ამ სიებს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში მარტის 1-თვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 20.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 255 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

134. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 10-ის დადგენილება „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-6 №-ი, მუხ. 67)—გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე გ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის შესახებ.

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორს მიზნად აქვს განახორციელოს მშენებლობის დაგეგმვა, ტეხნიკურ-ეკონომიური მოწესრიგება, ნორმირება და აღნუსხვა, აგრეთვე მისი რაციონალიზაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობის გეგმებისა და მთავრობის სათანადო დირექტივების აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნების შესაბამისად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა. დაგეგმვის დარგში:

ა) შეადგინოს მშენებლობის ჯუმლობითი გეგმები;

ბ) შეიმუშაოს მშენებლობის განსახორციელებლად საშენი მასალისა, მუშა-ძალისა, ტეხნიკური პერსონალისა და სხვა რესსურსების წლიური და საპერსპექტივო ბალანსები;

გ) შეადგინოს სამშენებლო მრეწველობის განვითარებისა და ორგანიზაციის ჯუმლობითი გეგმები (საშენი მასალის მრეწველობისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისა), კერძოდ—განსაზღვროს სამშენებლო მრეწველობის განვითარების ტემპების მაჩვენებელნი ამ მრეწველობის ცალკეული ელემენტების მიხედვით;

დ) გაანაწილოს სადეფიციტო და ნაკლებული საშენი მასალები ამიერკავკასიის მშენებელ ორგანიზაციებსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის;

ე) შეიმუშაოს მშენებლობისა და სამშენებლო მრეწველობის გეგმების აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი.

ბ. ტეხნიკურ-ეკონომიური მოწესრიგებისა და ნორმირების დარგში:

ა) განსაზღვროს, სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის (სამშენებლო სექტორის ხაზით) დირექტივების შესაბამისად, მშენებლობის საერთო ტეხნიკური წესები, ნორმები და პირობები, აგრეთვე მშენებლობის საერთო ტეხნიკურ-ეკონომიური ნორმები და წესები (ღირებულობის ლიმიტები, გადიდრონებული მზომები, საშენი მასალისა და მუშა-ძალის მოხმარების ნორმები, ზედნადები ხარჯების ნორმები და სხვ.) და დაიწესოს ა/კსფსრ-ის უწყებებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ამ სფეროში მუშაობისათვის სადირექტივო ხელმძღვანელობა;

ბ) გამოსცეს ინსტრუქციები მშენებლობისათვის მოქმედი კანონმდებლობის წესის შეფარდების შესახებ;

გ) შეიმუშაოს სამშენებლო საქმის ორგანიზაციის გეგმა და გაუწიოს სადირექტივო ხელმძღვანელობა უწყებებისა და ორგანიზაციების მუშაობას ამ გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმის განხორციელებისათვის, კერძოდ—მშენებლობის ღირებულობის შემცირებისა, რესსურსების რაციონალურად გამოყენებისა, დანაკარგებთან ბრძოლისა და სამშენებლო სამუშაოთა თვისების გაუმჯობესების საკითხებში;

დ) შეიმუშაოს რესპუბლიკანური სამშენებლო კოდექსის პროექტი და მშენებლობისა და სამშენებლო მრეწველობის საკითხების გამო ცალკეული საკანონმდებლო აქტების პროექტები;

ე) მისცეს დასკვნები მშენებლობისა და სამშენებლო მრეწველობის შესახები ყველა საკითხის გამო, რაც შეტანილ იქნება განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ბ. მშენებლობის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის დარგში:

ა) შეიმუშაოს გეგმა და ძირითადი ღონისძიებანი მშენებლობაში რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის, კერძოდ—ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციისა, მუდმივ მუშათა კადრების ძირითადი ფონდების შექმნისა და შეუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლის სფეროში;

ბ) მისცეს საერთო მიმართულება და შეათანხმოს უწყებებისა, ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების მუშაობა მშენებლობის რაციონალიზაციისა, მუშაობის ახალი მეთოდებისა, მასალებისა და კონსტრუქციების შეფარდებისა და ტიპებისა და სტანდარტების შემუშავების სფეროში; აგრეთვე მისცეს დასკვნები სამშენებლო სტანდარტების თაობაზე;

გ) დაგეგმოს, გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა, დაამტკიცოს პროგრამები, შეადგინოს ცენტრალიზებული განცხადებანი და გაანაწილოს (დამტკიცებული სატიტულო ნუსხების ფარგლებში) საცდელ-საჩვენებელი მშენებლობის ფონდები; განაზოგადოს ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ორგანოების საცდელი მშენებლობისა და მშენებლობის სფეროში წარმოებული სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგები;

დ) შეიმუშაოს და შეათანხმოს სსრკ-ისა და უცხოეთის მშენებლობის სფეროში მიღწეული გამოცდილების გამოყენების გეგმები;

ე) გამოსცეს პერიოდული (ბიულეტენები) და არაპერიოდული ლიტერატურა სამშენებლო სექტორის კომპეტენციის საკითხების გამო.

დ. მშენებლობის აღნუსხვისა და გეგმების აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის დარგში:

ა) შეიმუშაოს წინადადებანი მშენებლობაში აღნუსხვის სისტემის დამყარებისათვის და აგრეთვე შეიმუშაოს სამშენებლო გეგმების აღსრულების საუწყებო ანგარიშგების სისტემა და ფორმები;

ბ) თვალყური ადევნოს მშენებლობისათვის მომზადების მსვლელობას, მთავრობის დირექტივების აღსრულებას და სამშენებლო გეგმების განხორციელებას;

გ) თვალყური ადევნოს საგეგმო-საწარმოო დავალებათა აღსრულებას სამშენებლო მრეწველობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეისწავლოს ცნობები სამშენებლო გეგმების აღსრულებისა და გეგმების აღსრულების შედეგის შეფასების შესახებ ცალკეულ მაჩვენებელთა მიხედვით;

ე) შეაჯგინოს პერიოდული მიმოხილვები და მოხსენებები მთავრობისათვის მშენებლობისა და სამშენებლო მრეწველობის გეგმების აღსრულების თაობაზე.

8. საბინაო და კომუნალური მშენებლობისა და მეურნეობის დარგში:

ა) მისცეს დასკვნები ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი საბინაო მშენებლობის წლიური და საპერსპექტივო გეგმების თაობაზე და შეიმუშაოს წლიური და საპერსპექტივო გეგმები კომუნალური მშენებლობისა და აგრეთვე საბინაო და კომუნალური მეურნეობისათვის;

ბ) შეიმუშაოს და დაამყაროს წესები, ნორმები და კონკრეტული ღონისძიებები ახალი ქალაქების მშენებლობისა და არსებული ქალაქების გადაკეთებისათვის ბინებისა და ყოფაცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე;

გ) შეიმუშაოს დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და აღნაგობის წესები და ნორმები.

დ) გააერთიანოს ა/კსფსრ-ის და მასში შემავალი რესპუბლიკების უწყებებისა და ორგანიზაციების მუშაობა ამ სფეროში.

9. პროექტების განხილვისა და სამშენებლო კონტროლის დარგში:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს პროექტები, რომელთა განხილვა და დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობით ან მთავრობის ცალკეული განკარგულებით დაკისრებული აქვს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ბ) გაუწიოს ტეხნიკური დახმარება მშენებელ ორგანოებს ცალკეული პროექტებისა და რთული ტეხნიკური საკითხების ექსპერტიზის წარმოებით;

გ) მიიღოს და ხარჯოს იმ გამოსაღებთა სპეციალური სახსარი, რასაც სამშენებლო სექტორი გადაახდევინებს პროექტების განხილვისა და ექსპერტიზის წარმოებისათვის;

დ) განახორციელოს უშუალოდ სამშენებლო კონტროლი მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობის მიმართ.

3. სამშენებლო სექტორს დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების სამშენებლო სექციების მუშაობას, ხოლო ამ სექციების მეშვეობით—აგრეთვე სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოების მუშაობას.

4. სამშენებლო სექტორი ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უშუალო გამგებლობაშია; მას მეთაურობს სექტორის თავმჯდომარე—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრი. სექტორს ჰყავს პრეზიდიუმი, რომლის შედგენილობასაც განსაზღვრავს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

№ 172
ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტორის აპარატის შინაგან სრუქტურას და შტატს დაიწესებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

5. სამშენებლო სექტორთან არსებობს მშენებლობის ტეხნიკური საბჭო, რომელზედაც, მენაც�ლეობის წესით, გადადის ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტის ყველა უფლება და მოვალეობა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისა და დამტკიცების სფეროში.

მშენებლობის ტეხნიკური საბჭო შესდგება იმ პირთაგან, რომელნიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებებით პერსონალურად დანიშნულ არიან ამიერკავკასიის სამშენებლო კომიტეტის წევრებად.

6. სამშენებლო სექტორის მიერ დასამუშავებელი საკითხების განხილვის წესს დაამყარებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

დადგენილება № 257 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

135. ა/კსფსრ-ში ავტოტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ-ში საავტომობილო-სატრანსპორტო საქმის მოსაწერიგებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც გარაჟებისა, საწყობებისა, სარემონტო სახელოსნოებისა, ბენზინსაცავებისა და სხვ. შენებამ—ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების ტეხნიკური ექსპერტიზის გარეშე—მოიტანა უარყოფითი შედეგი,—საკალდებულოდ იქნეს ცნობილი, რათა ყველა ზემოაღნიშნულ შენობათა პროექტები, დამტკიცებამდე, წინასწარ შეთანხმებულ იქნეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან.

2. რათა საავტომობილო ტრანსპორტის დაუცადებელი მუშაობა, მისი მაქსიმალური გამოყენება მუშაობაში და რენტაბელობის მიღწევა სათანადოდ უზრუნველყოფილ იქნეს,—წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომელთა ხელშიაც ან ექსპლოატაციაშიაც სასაწყობო სათავსები და პაკჰაუზებია, მოაგვარონ სარკინისგზო და სანავთსაყუდო პაკჰაუზები და საწყობები, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სასაწყობო სათავსები ისე, რომ მათ მოხერხებით უდგებოდეს მისაღები გზები და რომ მათ ჰქონდეთ საკირო რაოდენობის საეზოო შესასვლელი და გამოსასვლელი, აგრეთვე მოაგვარონ პლატფორმები საავტომობილო ტრანსპორტისათვის, დადგან საკირო რაოდენობის სასწვრები, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხელსაწყოები (ამწევები, ურიკები (ტელეკა), მაზიდები (ტაჩკა) და სხვ.) და მოაწყონ ეზოს და სასაწყობო სათავსების განათება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაწყობო მშენებლობისა და გაწყობის საკითხები აუცილებლად წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან.

3. რადგანაც არსებული წესი და მეთოდები საავტომობილო ტრანსპორტის რემონტისა არადამაკმაყოფილებელია,—მანქანათა პარკის დაცვის მიზნით, —სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სხვა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოსათვის:

ა) შემოიიღონ მანქანების სავალდებულო პერიოდული სრული რემონტი და გასინჯვა, მიუხედავად მანქანების მდგომარეობისა და სამსახურის ვადისა, რაკი მანქანებმა გაიარეს განსაზღვრული რიცხვი კილომეტრი, რასაც დაადგენს თვითეული ტიპის მანქანისათვის ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებთან შეთანხმებით.

ბ) დაავალონ ყველა დიდროვან საავტომობილო მეურნეობას—მოაწყოს თავისთან სარემონტო ბაზისები, ნაწილებისა და ცალკეული აგრეგატების ფართოდ შეცვლის ხერხის შემოღებით.

4. ჩვენი ქვეყნის გაავტომობილიზების განხორციელებასთან დაკავშირებით და ავტოტრანსპორტის თავის დროზე და სავსებით უზრუნველსაყოფად კვალიფიციური ტეხნიკური ძალით, რაც გარანტია იქნება საავტომობილო ტრანსპორტის ნორმალური განვითარებისა, დაუცადებელი მუშაობისა და რემონტისა, —დაევალოს სათანადო სახალხო კომისარიატებს—იზრუნონ საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის ა/კსფსრ-ში ავტოტრანსპორტის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს, რათა, სათანადო ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, მომზადებულ იქნეს შოფერთა პერსონალი თანახმად სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 1-ის დადგენილებისა „ავტოტრანსპორტისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 113).

5. ავტოტრანსპორტის დაქუცმაცებისა და აქ-იქ გაფანტულობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ა/კსფსრ დიდროვან ცენტრებში შეიქმნას დიდროვანი კონცენტრირებული სარაიონო ავტოგარაჟები, სადაც გაერთიანდება საუწყებო ავტომეურნეობათა მთელი მასსა, და უწუბანი გამოიყენებენ თავიანთი საჭიროებისათვის ცენტრალიზებულ გარაჟებს, რომელნიც გაერთიანებენ მათ ავტოტრანსპორტს.

6. ყველა გაერთიანებული სარაიონო გარაჟი უნდა იყოს ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამმართველოს გამგებლობაში.

7. გარაჟების საშენებლად საჭირო სახსარი უნდა გამოსძებნოს ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთმა:

ა) მეურნეობათა და დაწესებულებათა დაბეგვრით გაერთიანებული გარაჟის ასაშენებლად, ახალი მანქანების მიღების დროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სავალდებულო ერთდროული გადასახადის შეტანითა ერთიანებულ გარაჟში შემავალი ყველა მეურნეობისა და დაწესებულების მიერ მათი მანქანების გაერთიანებულ გარაჟში მიღების დროს;

გ) საბანკო კრედიტით.

შენიშვნა. წინადადება მიეცეს ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთს, ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმენით, შეიმუშაოს განსაკუთრებული ინსტრუქცია მე-7 მუხლის შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 20.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 252 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

136. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმისა და 1930/31 წლისთვის ამ გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწყებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ყველა იმ საფინანსო სახსარის ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენა 1930/31 წლისთვის, რაც დაბანდებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და მოხმარდეს ა/კსფსრ-ის სოციალურ-კულტურულ მშენებლობას და მართვა-გამგებლობის საქმეს.

2. ა/კსფსრ 1930/31 წლის ერთიანი საფინანსო გეგმა აერთიანებს შემდეგ გეგმებს: ა/კსფსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს, ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლს, საკრედიტო დაწესებულებათა ჯუმლობითი საფინანსო გეგმას, სახელმწიფო შრომითი შემსახველი საღაროების საფინანსო გეგმას, ა/კსფსრ სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს, ა/კსფსრ სახელმწიფო დაზღვევის ოპერატიულ საფინანსო გეგმას, უწყებათა და დაწესებულებათა სპეციალურ სახსართა საფინანსო გეგმებს და აგრეთვე მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ვაჭრობისა და კოოპერაციისა, კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტრანსპორტის საფინანსო გეგმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული საფინანსო გეგმების გაერთიანების წესსა და ხერხს ამყარებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით.

შენიშვნა. იმავდროულად ვარაუდში მიიღება აგრეთვე პროფესიონალური კავშირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებისა, თავდაცვა-უფაქიმისა, სოფ. და ქალ. კავშირ. საზოგ., ავტო-გზ. და სხვ.) საფინანსო გეგმები, რაც ნაჩვენებ უნდა იქნეს საფინანსო გეგმის ბალანსს გარედ.

3. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმის რესპუბლიკანური ხაზით შედგენასთან ერთად შემუშავდება აგრეთვე ერთიანი საფინანსო გეგმა ტერიტორიალური ხაზით. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საერთო-საკავშირო უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები წარადგენენ თავიანთ 1930/31 წ. საფინანსო გეგმებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ივლისის 5-სა.

4. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმა შეიცავს შემდეგ ცხრილებს:

ა) შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლს;

ბ) შემოსავლის ჯუმლს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს შემოსავლის სახე და ის ცალკეული საფინანსო გეგმები, რომლითაც გატარებულ იქნება ეს ხარჯები;

გ) ხარჯების ჯუმლს, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნეს ამ ხარჯების მიზნობრივი დანიშნულება და ის ცალკეული საფინანსო გეგმები, რომლითაც გატარებულ იქნება ეს ხარჯები;

დ) იმ ცალკეული საფინანსო გეგმების საფინანსო ჯუმლებს, რომლებიც გაერთიანებულ იქნება ა/კსფსრ ერთიან საფინანსო გეგმაში.

5. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმის პროექტს დაერთვის განმარტებითი წერილი. ამ წერილში მოცემულ უნდა იქნეს საფინანსო გეგმის ძირითად დებულებათა განხილვა და დასაბუთებულ უნდა იქნეს გეგმის საშემოსავლო და საგასაელო ნაწილების აღრიცხვა.

შენიშვნა. განმარტებითს წერილში აღნიშნულ უნდა იქნეს: როგორ გარდანაწილდება ა/კსფსრ ერთიან საფინანსო გეგმაში სახალხო შემოსავლი სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორსა და კერძო სექტორს შორის და აგრეთვე მოსახლეობის ცალკეულ კლასებსა და ჯგუფებს შორის.

6. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, მიიღებს-რა სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან განზრახულებათ ერთიანი საფინანსო გეგმის შესაძლებელი ზრდის საერთო პერსპექტივების თაობაზე და აგრეთვე ფორმებს, რომლების მიხედვითაც შედგენილ უნდა იქნეს ცალკეული საფინანსო. გეგმები,—მიაწვდის, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და დაწესებულებებს, ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს და დაწესებულებებს და აგრეთვე ფედერატიულ ორგანიზაციებს ინსტრუქციებს და ფორმებს, რომლების მიხედვითაც შედგენილ უნდა იქნეს ცალკეული საფინანსო გეგმები.

№ 142

7. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენისათვის ა/კსფსრ სათანადო უწყებებმა და ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ივლისის 5-თვის საფინანსო გეგმები, რომლებიც უნდა შეეიდეს ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენილობაში.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები წარადგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ჯუმლობითს საფინანსო გეგმებს. ეს გეგმები უნდა აერთიანებდნენ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანიზაციათა და საწარმოთა იმ საფინანსო გეგმებს, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლშია ჩამოთვლილი.

გეგმების წარდგენის ვადად ინიშნება ივლისის 15.

9. მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკის რწმუნებული, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-კოლმეურნეობითი ბანკის ამერკავკასიის განყოფილება, აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კომუნალური ბანკები წარადგენენ თავიანთ საფინანსო საკრედიტო გეგმებს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამერკავკასიის სამხარო კონტორაში ივლისის 1-თვის, ხოლო ასლებს წარუდგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს. სახელმწიფო ბანკის ამერკავკასიის სამხარეო კონტორა შეადგენს ჯუმლობითს საკრედიტო გეგმას და წარუდგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ივლისის 10-ის.

10. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის წარსადგენი საფინანსო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებში შესატანი სადარგო სამეურნეო გეგმების შესაბამისად. გეგმებს უნდა დაერთვას განმარტებითი წერილები და სხვა საჭირო მასალა.

11. ა/კსფსრ-ში ერთიან საფინანსო გეგმას ადგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმის პროექტს იგი არდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში აგვისტოს 5-თვის. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას ერთიანი საფინანსო გეგმის თაობაზე არდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში იმავე დროს, როდესაც არდგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებს — აგვისტოს 15-თვის.

12. ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენილობაში შემავალი გეგმების აღსრულება დაეკისრება სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებს, უწყებებს და დაწესებულებებს. საერთო მეთვალყურეობა ერთიანი საფინანსო გეგმის აღსრულებისათვის და აგრეთვე იმ საჭირო ღონისძიებათა შემუშავება, რაც უზრუნველჰყოფს ამ გეგმის აღსრულებას, დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპულიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს.

13. ერთიანი საფინანსო გეგმის სისწორით შესრულებისათვის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, კუთვნილებისამებრ, შეადგენენ ჯუმლობითს კვარტალურ საფინანსო გეგმებს. თვითეული კვარტალის დაწყების წინ

ეს გეგმები იმ დირექტივების პროექტებითურთ, რაც უზრუნველჰყოფს გეგმების აღსრულებას, შეიტანება დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში, კუთვნილებისამებრ, ხოლო ასლები გადაეცემა სათანადო სახელმწიფო საგეგმო კომისიებს დასაკენისათვის.

14. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები წარუდგენენ ერთიანი საფინანსო გეგმის აღსრულების ანგარიშებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, კუთვნილებისამებრ, მათ მიერ დადგენილ ვადაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 19.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა„ ს 166 №-ში 1930 წ. ივნისის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

137. 1929-30 წელს კოლექტიურ მეურნეობათაგან გადასახდევინებელი სასაძოვრო ოჯარის განაკვეთების დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სოფლის მეურნეობის წასახალისებლად მეცხოველეობის ხაზით—მიმდინარე 1929-30 საბიუჯეტო წელს კოლექტიურ მეურნეობათ შეეფარდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წ. აპრილის 30-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 118) განსაზღვრული უმცირესი საოჯარო განაკვეთები საძოვრებისათვის, იმისდამიუხედავად, თუ კოლექტიურ მეურნეობაში რაოდენი ოთხფეხი საქონელია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 167 №-ში 1930 წ. ივნისის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

138. 1928 წ. საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის ინსტრუქციის მე-11 მუხლისათვის „ო“ ლიტერის დამატებისა და მე-13 მუხლის „გ“ ლიტერის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციაში საბჭოთა არჩევნების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 22 №-ი, მუხ. 244) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. ინსტრუქციის მე-11 მუხლს დაემატოს ლიტ. „ო“ შემდეგი შინაარსისა:

„ო) იმ პირთ, ვისი მეურნეობაც, ერთიანი სასოფლ-სამეურნეო გადასახადის კანონმდებლობაში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, კულაკურ მეურნეობათა კატეგორიას მიეკუთვნება“.

2. მე-13 მუხლის „გ“ ლიტერის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა იმ პირს, რომელიც გამოიყენებს დროებითი მუშების შრომას ისეთი რაოდენობით, რაც არ იწვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას.“

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ ერთი თვის ვადაზე თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 169 №-ში 1930 წ. ივნისის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

139. **საზაფხულო საძოვრების გამოყენებისა და მომთაბარეთათვის აგრო-ზოოტეხნიკური, სამეურნეო და სავეტერინარო დახმარების გაწევის შესახებ.**

იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც დაკავშირებულია ოთხფეხი საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გარეკასა და სამომთაბარეო და ნახევრად სამომთაბარეო მესაქონლე მეურნეობების მიერ ამ საძოვრების გამოყენებასთან, აგრეთვე მესაქონლეებისათვის აგრო-ზოოტეხნიკური, სამეურნეო და სავეტერინარო დახმარების გასაწევად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ მიიღონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) რათა საძოვრები გამოიყენებოდეს ხანგრძლივი ვადით; თანაც საიჯარო ხელშეკრულებებში აღინიშნებოდეს მოიჯარადრეთა მოვალეობა საძოვრების მელიორაციისათვის უმარტივეს ღონისძიებათა განხორციელებისა:

ბ) რათა საზაფხულო საძოვრები განაწილებულ იქნეს პირველ რიგში საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა, მეცხოველეობის ამხანაგობებსა და ღარიბ და საშუალო მეურნეობებს შორის;

გ) რათა თავიდან აცილებულ იქნეს თვითნებისად სასაძოვრო ნაკვეთების დაპერა და გადამწყვეტი ბრძოლა გაეწიოს სულ-ბარენდას;

დ) რათა მოსპობილ იქნეს გზად მავალ მომთაბარეთაგან ისეთი გამოსაღების გადახდევინება, რაც კანონით დადგენილი არ არის; რათა დაცულ იქნეს საქონელი გზაში და საძოვრებზე და სასწრაფოდ იქნეს გადაწყვეტილი სასაძოვრო დავანი და წანახედის საქმენი;

ე) რათა ყოველწელს შემოწმებულ იქნეს საქონლის სარეკი გზების მდგომარეობა და თავის დროზე განმზადებულ იქნეს ეს გზები საქონლის გასარეკად; აგრეთვე გამოყოფილ იქნეს ნაკვეთები გზაში დასასვენებლად და საკვებად, და წყლის დასალევინებელი ადგილები;

ვ) რათა მოწყობილ იქნეს მუშაობა საძოვრების რაიონებისათვის სავეტერინარო დახმარების გასაწევად, რისთვისაც ეს რაიონები უზრუნველყოფ უნდა იქნენ მოძრავი სავეტერინარო პუნქტებით, საჭირო სავეტერინარო პერსონალით და მედიკამენტების სათანადო მარაგით;

ზ) რათა მომთაბარენი სავსებით უზრუნველყოფილ იქნენ აგრონომიული დახმარებით როგორც ადგილობრივი ძალებით, ისე, თუ საჭირო იქნება, სხვა რუსპუბლიკების ძალებითაც—ამ უკანასკნელთა დროებითი მივლინებით საძოვრებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაწესონ:

ა) მტკიცე ვადები სამომთაბარეოდ წასვლისათვის ცალკეულ სასაძოვრო რაიონებში;

ბ) საძოვრების დატვირთვის ნორმები ცალკეული რაიონებისათვის, მათი თავისებურობისა და მდგომარეობის მიხედვით;

3) წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს და ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოს მოაწყონ ფართო ქსელი მოძრავი ყველის-საკეთებლებისა მომთაბარეთათვის სრული მომსახურეობას გასაწევად.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს და ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოს მიიღონ ღონისძიებანი, რათა მომთაბარეთა მასებში ფართოდ ჩაინერგოს ძირითადი აგრო-ზოოტეხნიკური ცნობები, და რათა მოხდეს მათი აგრონომიული უვიცობის ლიკვიდაცია (სასოფლო გამოფენების გამართვა, დაგრილების პუნქტების მოწყობა, უკეთეს მწარმოებელთა დაპრემირება. და სხვ.)

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 167 №-ში 1930 წ. ივნისის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

140. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ.

„ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 26-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 30)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. გაუქმებულ იქნეს ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან შენობის ადგილობრივი გადასახადისა და რენტის გადახდევინება.

2. დაწესებულ იქნეს, რომ ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათ არ უნდა გადახდეს სხვა არავითარი გადასახდელი, გარდა საიჯარო ქირისა.

3. საიჯარო ქირას ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათათვის დაიწესებენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები საამორტიზაციო ანარიცხის და დახარჯული კაპიტალის პროცენტის სახით.

4. საცხოვრებელი შენობის საიჯარო ქირა გამოიანგარიშება შენობის საერთო შემოსავალზე საცხოვრებელი ფართების ერთეულის შემოსავლის რაოდენობის მიხედვით იმ განაკვეთების თანახმად, რასაც დაადგენენ ადგილობრივი საბჭოები შემდეგ საფუძველზე:

ა) ის სახლთმფლობელობა, რომლის შემოსავალიც სცხოვრებელი ფართობის ერთეულზე არ აღემატება უწყებულ ქალაქში თუ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას დაწესებული საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთის ნახევარს, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს საიჯარო ქირისაგან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით; ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული სახლთმფლობელობის იჯარა არ შეიძლება აღემატებოდეს შენობის სამშენებლო ღირებულობის ნახევარ პროცენტს, რომელი ღირებულობაც გამოიანგარიშება საცხოვრებელი ფართობის ერთეულის იმ საშუალო საამშენებლო ღირებულობის მიხედვით, რაც უწყებულ ქალაქში თუ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას არის;

ბ) იმ სახლთმფლობელობას, რომლის შემოსავალიც საცხოვრებელი ფართობის ერთეულზე აღემატება უწყებულ ქალაქში თუ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას დაწესებული საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთის ნახევარს, იჯარა გადახდება შენობის სამშენებლო ღირებულობის ნახევრ %-დან ერთ პროცენტამდე, რომელი ღირებულობაც გამოიანგარიშება საცხოვრებელი ფართობის ერთეულის იმ საშუალო სამშენებლო ღირებულობის მიხედვით, რაც უწყებულ ქალაქში თუ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას არის;

გ) იმ სახლთმფლობელობას, რომლის შემოსავალიც საცხოვრებელი ფართობის ერთეულზე აღემატება უწყებულ ქალაქში დაწესებული საბინაო ქირის ძირითად განაკვეთს, საამორტიზაციო ანარიცხის გარდა, გადახდება ავრეთვე პროცენტი შენობის სამშენებლო ღირებულებაზე ანარიცხის სახით, რასაც სახლთმფლობელობა გადასდებს ზედმეტ შემოსავლიდან ამ ზედმეტი შემოსავლის თანხის ორმოციდან სამოცდაათ პროცენტამდე.

შენიშვნა 1. შენობის საერთო შემოსავლად იგულისხმება საბინაო ქირის მთელი შემოსავალი და სავაჭრო სამრეწველო სადგომებისა და სასაწყობო სათავსების წმინდა შემოსავალი, იმ თანხების გამოკლებით, რასაც სახლთმფლობელობა უხდის კომუნალური მეურნეობის ორგანოებს.

შენიშვნა 2. საცხოვრებელი ფართობის ერთეულის შემოსავალი გამოიანგარიშება შენობის საერთო შემოსავლის (შენიშვნა 1-ლი) ამ შენობის საცხოვრებელი ფართობის საერთო რაოდენობაზე გაყოფით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კანცელარიის ან სხვა საპიროებისათვის დაპერილი, არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის საიჯარო ქირა გამოიანგარიშება შენობის ფართობზე—მისი მდგომარეობისა და რენტაბელობის მიხედვით,—საამორტიზაციო ანარიცხის სახით ნახევრიდან ერთ პროცენტამდე და დახარჯული კაპიტალის პროცენტის სახით—საცხოვრებელი სივრცის ერთეულის ღირებულობის სამიდან ხუთ პროცენტამდე.

შენიშვნა. ამა მუხლის წესები არა ვრცელდება სავაჭრო-სამრეწველო სადგომებზე და სასაწყობო სათავსებზე, რომელთა ქირაც მოწესრიგდება განსაკუთრებული კანონმდებლობით.

6. ხელშეკრულობის დადების წესით, შენობის მდგომარეობის კვალობაზე, სათანადო ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან ადგილობრივი საბჭოს ქონებისათვის მიკუთვნებული შენობის ამა თუ მოიჯარეს მიანიჭოს შეღავათი ამა დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ განაკვეთებზე.

7. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებული შენობის მოიჯარე შეიტანს თავისი ხვედრი საიჯარო ქირის თანხას ყოველთვიურად, სათანადო ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაზე, სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც ირიცხება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ფილიალში, ხოლო, უკეთუ კომუნალურ განყოფილებასთან არსებობს სპეციალურ აბკრეფთა სალარო,—ამ სალაროში.

8. უკეთუ მოიჯარე ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაზე არ შეიტანს ქირას, მას გადახდება საურავი ადგილობრივი საბჭოს მიერ დაწესებული რაოდენობით, ხოლო არა უმეტეს თვიური საიჯარო ქირის თანხის ერთი მეათედი პროცენტისა.

9. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებული შენობის საიჯარო ქირის გადახდევინება სწარმოებს უდავო წესით, გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული წესების თანახმად.

10. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებული შენობის სამოურავო მოვალეა აწარმოოს სახსართა შემოსავალ-გასავლის ანგარიშგება სათანადო ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით.

11. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებული შენობის შემოსული საიჯარო ქირის არა ნაკლებ ორმოცი პროცენტისა უნდა გადაიცეს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში შესაქმნელი საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალებში.

12. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე დადებული ყველა ხელშეკრულობა გადასინჯულ უნდა იქნეს საიჯარო ქირის რაოდენობისა და შეტანის ვადების მხრით, რათა აღნიშნული ხელშეკრულობები შეეფარდებოდეს ამა დადგენილებას.

II.

1. ა/კსფსრ ადგილობლრივი ფინანსების დებულების 29 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„29. შენობების გადასახადით (მუხ. 27. პ. „ა“) შეიძლება დაიბეგროს, 30 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, ის საცხოვრებელი სახლი, ფაბრიკა, ქარხანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყობი, სავაჭრო სადგომი, თეატრი და ყოველგვარი სხვა შენობა და ნაგებობა,—მათი დამმბარე შენობებისაგან განუყოფელად, — რაც კერძო პირისა, საზოგადოებისა და საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულების და საწარმოს სარგებლობასა და მფლობელობაშია, ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათა გამოკლებით".

2. საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების მე-2 მუხლის პირველი აბზაცი (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 203) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. რენტა გადახდევინებულ უნდა იქნეს აღნაგიანი და უაღნაგო მიწისათვის, რასაც სარგებლობს დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და კერძო პირი, უკეთუ ამ მიწის ან მასზე აგებული შენობის სარგებლობისათვის მოსარგებელ კომუნალური მეურნეობის ორგანოების სასარგებლოდ საიჯარო ქირას არ იხდის".

3. „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-ი, მუხ. 208) მე-16 მუხლის მე-2 შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

III.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

ა) ერთი თვის ვადაზე თავიანთი კანონმდებლობა შეუთანხმონ ამა დადგენილებას;

ბ) ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ და მიაწოდონ სახელმძღვანელოდ ადგილობრივ საბჭოებს განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალა, ამა დადგენილების 1 კარის მე-4 მუხლის თანახმად;

გ) მიიღონ ღონისძიებანი ამა დადგენილების სავალდებულო განხორციელებისათვის 1930/31 წლიდან.

IV.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ერთი თვის ვადაზე, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

141. ძვირფასი ლითონებისა და ქვების ნაკეთობათა და აგრეთვე მარგალიტის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის მოსპობისა და სარეალიზაციოდ ხავაჭრო საწარმოთათვის გადაცემის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი ძვირფასი ლითონებისა და ქვების ნაკეთობათა და აგრეთვე მარგალიტის რეალიზაციისათვის ლომბარდებისა და სასამართლოს აღმასრულებლების (ან მათი მენაცვლე პირების) მიერ.

2. უკეთუ, მოქმედი კანონის მიხედვით, ლომბარდმა და სასამართლოს აღმასრულებელმა საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდოს ძვირფასი ლითონებისა და ქვების ნაკეთობა და მარგალიტი, ლომბარდი და სასამართლოს აღმასრულებელი არ დანიშნავს საჯარო ვაჭრობას და გაგზავნის ამ ფასეულობას ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკაში) სამართველოში.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებთნ მოეწყობა კომისიები ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და განათლების სახალო კომისარიატის წარმომადგენელთა შედგენილობით. კომისიები გაანაწილებენ 1-ლ მუხლში აღნიშნულ საგნებს ისეთ საგნებად:

ა) რომლებსაც აქვს საექსპორტო ხასიათი; ბ) რომლებიც, როგორც ნაკეთობანი, შეიძლება რეალიზებულ იქნეს შინა ბაზარზე და გ) ლითონი ნამტვრევებად და ზოდებად; აგრეთვე სამუზეუმო და საისტორიო მნიშვნელობის მქონე საგნები; კომისიები შეაფასებენ ამ საგნებს სახელმწიფო საწარმოთა საბაზრო ნასყიდობის ფასების მიხედვით.

4. შეფასებისა და წინა მუხლში აღნიშნულ კატეგორიებად დანაწილების შემდეგ ეს ფასეულობანი გადაეცემა რესპუბლიკანურ სავაჭრო საწარმოთ.

5. სავაჭრო საწარმო დაუყოვნებლივ გადაუხდის სასამართლოს აღმასრულებელს და ლომბარდს მიღებული ფასეულობის ღირებულობას კომისიის შეფასების მიხედვით, მე-3 მუხლის წესისამებრ.

6. მიღებულ ფასეულობათაგან სავაჭრო საწარმო იმ ფასეულობას, რაც კომისიების მიერ ცნობილია როგორც შინა-ბაზარზე გასასაღებელი და ექსპორტის ხასიათის მქონე საგანი, დაიტოვებს თავისთან სარეალიზაციოდ უშუალოდ და ა/კ. სახ. ვაჭრობის მეშვეობით, ხოლო დანარჩენ საგნებს გადასცემს, კუთვნილებისამებრ, სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას და განათლების სახალხო კომისარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორა გადაუხდის რესპუბლიკანურ სავაჭრო საწარმოს მისთვის გადაცემული ლითონისა და ნამტვრევის ღირებულობას ლითონის ოფიციალური ფასის მიხედვით, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატი—კომისიის (მუხ. 3) მიერ განსაზღვრულ ფასს.

საექსპორტო ფასეულობას სავაჭრო საწარმონი გადასცემენ ა/კ. სახ. ვაჭრობას მასთან შეთანხმებულ პირობებზე.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ამა დადგენილების განსახორციელებლად, ერთი თვის ვადაზე, შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 170 №-ში 1930 წ. ივნისის 28-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

142. „ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„კოოპერატიულ ორგანიზაციებზე სახელმწიფო ქონების გასხვისების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილების თანახმად (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. 27 №-ი, მუხ. 305)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სათაური ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-რი, მუხ. 76) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის და კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ“.

2. ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაემატოს მე-7 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„7. ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათ უფლება აქვთ გადასცენ ხოლმე მათი კუთვნილი ქონება სისტემაში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ საფუძველზე“.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 169 №-ში 1930 წ. ივნისის 27-ს.

დადგენილება ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

143. ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოახდინონ, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის დებულების საფუძველზე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან და სოლქო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსებული ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიების რეორგანიზაცია.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 24.
ტფილისი-სასახლე.

დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის შესახებ.

1. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი მოიწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რაც სწარმოებს ქალთა შრომის აღორძინებისა და ორგანიზაციისა მათი სოციალისტურ მშენებლობაში მასსიური ჩაბმისა, კულტურული დონის ამაღლებისა და ძველი ყოფაცხოვრების დრომოჭმულ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, განსაკუთრებით ა/კსფსრ-ის იმ რაიონებში, სადაც ქალთა ყოფაცხოვრება მეტისმეტად ჩამორჩენილია, აგრეთვე ქალთა ყოფაცხოვრების გარდაქმნისათვის.

2. კომიტეტი შესდგება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ პერსონალურად დანიშნული თავმჯდომარისა (ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი), კომიტეტის წევრებისა და მუდმივი პასუხისმგებელი მდივნისაგან.

3. კომიტეტის ერთი პლენუმიდან მეორე პლენუმამდე მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოიწყობა პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან: კომიტეტის თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი და სამი პირი, რომელთაც ირჩევს კომიტეტი თავისი შედგენილობიდან.

4. კომიტეტის მოქმედების ფარგლებში შედის — თვალყური ადევნოს და შეისწავლოს ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოქმედების შემდეგი საკითხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ქალთა განათლება, კლუბების მუშაობა, კადრების მომზადება და ქალთაგან რეზერვის შექმნა მათი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და საბალნო მეურნეობის სხვა დარგებში ჩაბმისათვის,—და კულტურული მშენებლობა;

ბ) საბჭოებისა, აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა, პროფესიონალური კავშირებისა, კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა ჩაბმა;

გ) საბჭოებისა, აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა, პროფესიონალური, სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატებში ხელმძღვანელ სამუშაოზე დასანიშნად მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მოწინავე კადრების დაწინაურება—მათი კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებით და სისტემატიური მომზადებით და გარდამზადებით მოკლევადიან კურსებზე და პრაქტიკანტობაში.

დ) მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლა;

ე) ქალთა უპატრონობასა და პროსტიტუციასთან ბრძოლა და მათ შრომასა და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;

ვ) ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებთან და ცრუაზროვნობასთან ბრძოლა და აგრეთვე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო მასსებში ქალთა უფლებრივი დაცვისა და საყოფაცხოვრებო დანაშაულთა შესახები საბ ̣ოთა კანონმდებლობის პოპულიარიზაცია;

ზ) ქალთა შრომისა და მათი ყოფაცხოვრების გარდაქმნის კანონმდებლობის განხორციელება;

თ) იმ საკანონმდებლო განზრახულებათა შემუშავება და, არსებული წესისამებრ, სათანადო ცენტრალურ ორგანოებში წარდგენა, რაც მიმართულ იქნება ქალთა ეკონომიური და უფლებრივი უთანასწორობის აღმოფხვრისათვის, და აგრეთვე დასკვნების მიცემა იმ პროექტების თაობაზე, რაც გამოგზავნილ იქნება აზრის გამოსათქმელად ცენტრალური ორგანოების მიერ—მშრომელ-ქალთა ინტერესების დაცვის შესახებ.

აღნიშნული ამოცანების—ე. ი. ქალთა შრომის გაუმჯობესებისა, მათი კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მათი ყოფაცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის—განხორციელების საქმეში კომიტეტი ემყარება თვით მშრომელი მასსების თვითმოქმედებასა და ინიციატივას, ცდილობს რა ყოველგზით განავითაროს ეს ინიციატივა.

5. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ღონისძიებათა შემუშავებას და განხორციელებას, რაც უზრუნველჰყოფს ქალთა მონობისაგან განთავისუფლებას, უფლებრივ დაცვას და კულტურულ განვითარებას ა/კსფსრ ჩამორჩენილ რაიონებში.

6. კომიტეტი ხელს უწყობს საზოგადოებრივ სახსართა მოხვეჭას ამა დებულებაში აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის და ამ სახსართა დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ამავე დროს იგი ხელს უწყობს აგრეთვე იმას, რათა ყოველმა იმ ღონისძიებამ, რაც შთანერგავს ქალის შრომას მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში, გამოხატულობა ჰპოვოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი, ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის მეშვეობით, კავშირს გაბამს საერთო-საამერიკავკასიო მნიშვნელობის სათანადო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და, ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრული კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატის გამოყენებით, მიიღებს მათგან საჭირო მასალებს, მიანდობს მათ ცალკეული საკითხების დამუშავებას, შეიტანს თავის სხდომებზე მოხსენებებს ქალთა შრომისა და მათი ყოფაცხოვრების გარდაქმნის საკითხების თაობაზე, გაეცნობა ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმის ვითარებას და მიიზიდავს თავის მუშაობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

8. კომიტეტი მიიღებს ღონისძიებას, რათა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხები ჰპოვებდენ რაც შეიძლება სრულ გამოხატულობას პრესაში და რათა ა/კსფსრ ეროვნებათა ენებზე გამოიცეს მასსიური ლიტერატურა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხების შესახებ.

9. კომიტეტის მუშაობისთვის საჭირო სახსარი (მიმოსვლა, გამოწვევა, თათბირები და სხვ.) შეიტანება ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვაში.

10. კომიტეტი თვალყურს ადევნებს, რათა სახელმწიფო ბიუჯეტით, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად, გადადებული სახსარი გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ; იგი ანაწილებს ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებით შექმნილ განსაკუთრებულ ფონდებს, რომლებიც დანიშნულია მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად წარმოებული მუშაობისათვის, თვალყურს ადევნებს ამ ფონდების გამოყენებას.

11. კომიტეტი საერთო მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას უწევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან არსებული კომიტეტების შუშაობას.

დადგენილება № 256 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

144. სასურსათო პროდუქტების წვრილი ცალობითი ვაჭრობის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და ა/კსფსრ ტერიტორიაზე გლეხების მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესახებ.

რათა ა/კსფსრ გლეხ-მოსახლეობას სრული შესაძლებლობა მიეცეს განახორციელოს თავისი უფლება თავისი მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის სფეროში და რათა თავიდან აცილებულ იქნენ ის შეზღუდვანი, რაც შემოღებულია ა/კსფსრ ფარგლებში სასურსათო პროდუქტების წვრილი ცალობითი ვაჭრობისათვის,— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „გლეხების მიერ ბაზრებში თავისი მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის პროდუქტების გაყიდვის შემავიწროებელ გარემოებათა ასაცილებელი ღონისძიების შესახებ“ ა/წ. მაისის 14-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 113) განსავითარებლად,—ადგენს:

1. დადასტურებულ იქნეს ხორცის წვრილ ცალობით მოვაჭრეთა უფლება ცოცხალი ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცეული პროდუქტების ვაჭრობისა დარაბებში მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

2. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 27-ის დადგენილება—ზემოაღნიშნულ ხორცის მოვაჭრეთა ვალდებულობის შესახებ იყიდონ ხოლმე საქონელი საკონვენციო სადამზადებლო ფასად.

შენიშვნა. ზემოაღნიშნულ ვაჭრებს ეკრძალებათ შეისყიდონ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დაკონტრაქტებული ოთხფეხი საქონელი და აგრეთვე საკლავად—ჯიშიანი, საპროდუქტო-სამერძეულო და მოზარდი საქონელი.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) გააუქმონ ხორცის წვრილ მოვაჭრეთა ის შემოღებული შეზღუდვანი ოთხფეხი საქონლისა და ხორცის დამზადებისა და რეალიზაციის სფეროში;

ბ) წინადადება მისცეს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს გაუადვილონ გლეხებს ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების სასინტარო-სავეტერინარო გასინჯვის მოთხოვნათა შესრულება მით, რომ გასინჯვის მწარმოებელი პუნქტები და დაწესებულებები დაუახლოონ საქონლის მისარეკ პუნქტებსა და პროდუქტების მაზიდვის ადგილებს.

4. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს:

ა) დაიწესოს ხორცის ცალობით მოვაჭრეთათვის ხორცის პროდუქტების უკიდურესი ცალობითი ფასები ზედანართითურთ არა უმეტეს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის არსებული ცალობითი ფასების 30 პროცენტისა და მათივე ვალდებულობით—გაიღონ არსებული ხუთპროცენტიანი ანარიცხი ხორცეული მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის ფონდისათვის;

ბ) მიიღოს ღონისძიება, რათა აღნიშნულმა ვაჭრებმა გაყიდონ დღეში არა უმეტეს 245,70 კილოგრ. (15 ფუთი) ხორცეულისა;

გ) შეზღუდოს ხორცის კერძო ვაჭრობა თვეში ოცდაერთი დღით შემდეგ ადგილებში: ბაქოსა, ტფილისსა, ერევანსა, განჯასა, ღენინაკანსა ალავერდსა, კაფანსა, ჯიათურასა, ტყიბულასა, ტყვარჩელსა, ბათუმსა და სოხუმში და ხუთმეტი დღით თვეში ა/კსფსრ დანარჩენ ადგილებში.

5. ხორცის ვაჭრებმა საქონლის დაკვლა და ხორცეული პროდუქტების ვაჭრობა უნდა აწარმოონ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესების თანახმად.

შენიშვნა. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ადმინისტრატიული და სასამართლო ორგანოების მონაწილეობით, უნდა გააძლიეროს ღონისძიებანი წინააღმდეგ საქონლის უკანონო დაკვლისა არა სასაკლაოებისა და საველტერინარო ზედამხედველობის გარეშე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ხორცის ვაჭრობის სისწორით დაბეგრა მით, რომ ამ ვაჭრობის ბრუნვა და შემოსავლიანობა გამოიანგარიშებოდეს სასაკლაოებისა და სასანიტარო ზედამხედველობის დოკუმენტალური ცნობების მიხედვით—გაყიდული ხორცის თაობაზე და აგრეთვე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების ცნობების მიხედვით—ხორცეული პროდუქტების გასაყიდი ცალობითი ფასების თაობაზე.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს დარაბების გაქირავების დროს განსაზღვრონ მტკიცე ვადები, რა ვადითაც ქირავდება დარაბები და მოსპონ უვადო ხელშეკრულობების დადების პრაქტიკა.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს სარეწაო გადასახადის 1929-30 წლის მტკიცე განაკვეთები წვრილი ვაჭრობისათვის შემცირების მხრით და დააწესოს ეს განაკვეთები შემდეგი რაოდენობით I-ლი კატეგორიაზე მიწერილისათვის—6 მანეთიდან 18 მანეთამდე, მე-II კატე-გორიაზე მიწერილისათვის—16 მანეთიდან 48 მანეთამდე, ხოლო დანარჩენთათვის—24 მანეთიდან 72 მანეთამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა"-ს 173 №-ში 1930 წ. ივლისის 1-ს.

დადგენილება № 258 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

145. წყალთა მეურნეობის 1929-30 წლის ოპერატიული გეგმის შესრულების შესამოწმებლად დროებითი კომისიის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს დროებითი კომისია წყალთა მეურნეობის 1929-30 წლის ოპერატიული გეგმის შესრულების შემოწმებისათვის.

2. აღნიშნულ კომისიას დაეკისროს:

ა) მიიღოს აქტით 1930 წლის გაზაფხულისათვის ირრიგაციულად განმზადებული ფართობები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეამოწმოს ახალი ფართობების მეურნეობრივად შეგუება „მებამბეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 19-ის დადგენილების თანახმად (კან. კრ. 1929 წ. მე-20 № ი, მუხ. 204);

გ) შეამოწმოს სატიტული, სანიგბლო, საპროექტორებო და სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა გეგმის შესრულება.

3. თავის მუშაობაში კომისია გამოიყენებს შემოწმების შემდეგ ხერხს:

ა) პირადად დათვალიერებს მშენებლობებს, შეგუებულ ფართობებს და ნათესებს;

ბ) შეისწავლის, მისი მოთხოვნით, სათანადო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და მასალებს.

4. დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან, კომისიის მოთხოვნით და მისგან განსაზღვრულ ვადაზე, წარუდგინონ ხოლმე კომისიას მისი მუშაობის წარმატებით მსვლელობისათვის საჭირო დოკუმენტები და მასალები.

5. კომისია განწესებულია ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და მოეწყობა: მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულისა, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულთან არსებული ტეხნიკური საბჭოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიტისა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის წარმომადგენელთა შედგენილობით.

6. კომისიის თავმჯდომარედ არის მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულის მოადგილე.

7. კომისია გამოჰყოფს თავისი წრიდან პრეზიდიუმს თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით.

8. კომისიის საქმისწარმოებას უძღვება მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულის აპარატი; რწმუნებულივე ჰფარავს კომისიის ადგილებზე მიმოსვლისა და სხვა ხარჯებს.

9. ადგილებზე სამუშაოთა და გამოკვლევათა წარმოებისათვის კომისიას შეუძლიან გამოჰყოს ქვეკომისიები ან ცალკეული წევრები, ობიექტის მნიშვნელობის მიხედვით.

10. კომისია დაიწყებს მუშაობას არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 10-სა და დაამთავრებს არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 15-სა. იგი წარუდგენს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-სა, მიღების აქტებზე დამყარებულ წინასწარ ცნობებს საერთო-სარწყავი და ბამბის ფართობების ნამატის შესახებ,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

146. სამინდე გამოსაღების შესახებ.

„სამინდე გამოსაღების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-17 №-ი, მუხ. 154) გასაუქმებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, კოლექტიურ მეურნეობათა, საზოგადოებრივ და კერძო წისქვილისა და საფქვავ-საბურღულე საწარმოსათვის,—მისი სახისა, გაწყობილობისა და ძალოვნების მიუხედავად,—მარცვლეულის დაფქვისა და ბურღულად გადამუშავების სასყიდელი მხოლოდ ნატურალური ფორმით (სამინდე გამოსაღები).

2. ა/კსფსრ ფარგლებში სამინდე გამოსაღების ჩატარების საქმის ხელმძღვანელობასა და მოწესრიგებას განახორციელებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

3. სამინდე გამოსაღების ჩაბარებისაგან განთავისუფლებულ იქნენ წისქვილები შემდეგ რაიონებში:

აზერბაიჯანის სსრ-ში:

ქურდისტანის რაიონი, ნუხა-ზაქათლის ოლქი, მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, ნახიჩევანის სსრ და განჯის ოლქის მთის ნაწილი.

სომხეთის სსრ-ში:

ზანგეზურის ოლქი და დარალაგიოზისა, შამშადინისა, თალინისა, იჯევანისა და ალავერდის რაიონები.

საქართველოს სსრ-ში:

აბარისტანის ავტ. სსრ-კა, აფხაზეთის სსრ-კა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი, ზემო-სვანეთის მაზრა, ქუთაისის ოლქის ჯოლოსისა, ონისა, ამბროლაურისა, ჭრებალოს, ცაგერისა, ხორაგაულისა, ზესტაფონისა, ჩხარისა, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები; დუშეთის რაიონის სასოფლო საბჭოები: გუდამაყრისა, მაღართკარისა, უკანფშავისა, ბარისახოსი, ბაცალიგისა, არხოტისა, შატილისა და ფასანაურისა; ტფილისის ოლქის ხევის რაიონი; კახეთის ოლქის თელავის რაიონის მთათუშეთის სასოფლო საბჭო.

შენიშვნა 1. ჩამოთვლილ ადგილებში კულაკური მეურნეობის წისქვილი სამინდე გამოსაღებისაგან არ განთავისუფლდება ისე, როგორც სამ ან მეტთვალიანი წისქვილიც.

მიენდოს „სოიუზხლებ"-ს აღნიშნული წისქვილებისათვის სამინდე გამოსაღების გადახდევინების წესის თაობაზე შეეთანხმოს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას.

შენიშვნა 2. განთავისუფლებული რაიონების ყველა ქალაქში წისქვილები სამინდე გამოსაღებით დაიბეგრებიან ჩვეულებრივი წესით.

4. ყველა ის წისქვილი, რომლის დღედაღამის გამოსაყალი 82 კილოგრამამდეა, ისეთ რაიონებში, სადაც სამინდე გამოსაღები იკრიფება, განთავისუფლებულ იქნეს სამინდე გამოსაღებისაგან, გარდა იმ წისქვილებისა, რომელთა პატრონებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან ინდივიდუალური წესისამებრ იბეგრებიან.

5. წისქვილის გამოსავალისა და აგრეთვე ჩასაბარებელი სამინდე გამოსაღების მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სასოფლო საბჭოებთან დაარსებული კომისიები. ეს კომისიები მოეწყობიან შემდეგი შედგენილობით: აღმასრულებელი კომიტეტისა თუ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები ან პრეზიდიუმების წევრები (კუთვნილებისამებრ), საგლეხო კომიტეტების თავმჯდომარეები და „სოიუზხლებ"-ის წარმომადგენელი.

6. დაწესებულ იქნეს სამინდე გამოსაღების (დაფქვის ნატურალური სასყიდლის) შემდეგი განაკვეთები:

ხორბლეულისა და ბრინჯისათვის დატოვებულ იქნეს წარსულ კამპანიაში მოქმედი განაკვეთები, ე. ი. ხორბლისათვის—$6^1/_4$ კილოგრ. და ბრინჯისათვის—$7^1/_2$ კილ. ცენტერზე.

სიმინდისა და ქერისათვის—განაკვეთი შემცირებულ იქნეს $7^1/_2$ კილოგრამამდე ცენტნერზე, ხოლო დასავლეთ საქართველოში—5 კილოგრამამდე თითო ცენტნერ დასაფქველ მარცვლეულზე.

7. წისქვილისა და საფქვავ-საბურღულე საწარმოს მეპატრონე და მოიჯარე მოვალეა ჩაბაროს მთელი სამინდე გამოსაღები სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზხლებ"-ს—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრულ ფასად, დამზადებათათვის არსებული ფასების შესაბამისობით; ამასთანავე, აღნიშნული ფასები დიფერენცირებულ უნდა იქნეს შიდა ადგილებში და სადგურებს პირად წარმოებულ დამზადებათა მიხედვით და მონაკლებთა და ზედნართთა ნორმების შეფარდებით.

შენიშვნა. სამინდე გამოსაღების მიღებას „სოიუზხლებ"-ი ანხორციელებს თავისი მიმღები პუნქტების მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს პუნქტები არ არსებობს, „სოიუზხლებ"-ი დაიხმარებს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას ხელშეკრულობის საფუძველზე.

8. სამინდე გამოსაღების მოგროვებასა და შენახვაზე გაწეული ხარჯები ამ სამუშაოსათვის მიწვეულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს აანაზღაურებათ და აგრეთვე საკომისიო გასამრჯელო მიეცემათ ისეთი რაოდენობით და წესით, რასაც დაამყარებს „სოიუზხლებ"-ი და დაამტკიცებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. წისქვილების მეპატრონეთ და მოიჯარეთ შეუძლიანთ განსასჩივრონ სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში მათთვის მე-5 მუხ. შესაბამისად განსაზღვრული სამინდე გამოსაღების რაოდენობა, ორი კვირის განმავლობაში შეტყობინების ჩაბარების დღიდან. განსაჩივრება აღნიშნული წესისამებრ არ ანთავისუფლებს წისქვილების პატრონთ და მოიჯარეთ მათი ხვედრი სამინდე გამოსაღების შეტანის მოვალეობისაგან, უკეთუ ამ შეტანის შერერების თაობაზე არ არსებობს იმ ორგანოს სპეციალური დადგენილება, სადაც საჩივარი წარიმართა.

10. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ“-ს დაუყოვნებლივ შეუდგეს წისქვილთა აღნუსხვის სამინდე გამოსაღებით დასაბეგრავად და შეტყობინებათა ჩაბარებლად; ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ განსაზღვრულ იქნეს შესასვლელი სამინდე გამოსაღების საბოლოო ციფრი, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან და წარედგინოს საბოლოო დამტკიცებისათვის ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. წისქვილების მეპატრონეთათვის შეტყობინების ჩაბარება დაეკისროს სასოფლო საბჭოს „სოიუზხლებ“-ის კონტროლიორებთან ერთად.

11. რადგანაც სამინდე გამოსაღები დამზადებათა ერთ-ერთი სახეა, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სამინდე გამოსაღების საგემო დავალება მიწედენილ იქნეს სოფლამდე და დასაბეგრავ წისქვილებამდე პურეულის დამზადების გეგმის თანაბრად.

12. პასუხისმგებლობა სამინდე გამოსაღების შემოსვლისათვის დაეკისროს საერთოდ „სოიუზხლებ“-ს, ხოლო ადგილებზე—სასოფლო საბჭოებს.

13 სასოფლო საბჭოების სახსართა გასაძლიერებლად—გადაირიცხოს მათ ბიუჯეტებში სათანადო სასოფლო საბჭოს რაიონში მიღებულ თითო ცენტნერ სამინდე გამოსაღებზე 12 კაპიკი, ხოლო იქ, სადაც სასოფლო საბჭოებს თავიანთი ბიუჯეტები არა აქვთ, აღნიშნული ანარიცხი ხსენებული მიზნისათვის უნდა გადაიდოს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში.

14. ყველა წყლის წისქვილისათვის შემოღებულ იქნეს სტანდარტული საწყავი, ხოლო მექანიკური და დიდროვანი წყლის წისქვილებისათვის—სასწორი.

15. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ“-ის ამიერკავკასიის კონტორას ფართო პოპულიარიზაცია გაუკეთოს სოფლად დაწესებულ განაკვეთებს, რისთვისაც ადგილობრივ ენებზე გამოსცეს ბროშურები და პლაკატები და გამოჰფინოს ეს პლაკატები წისქვილებსა და სოფლის საბჭოებში.

16. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ თავიანთ განკარგულებაში მოუვლელი წისქვილები და, თუ საჭირო იქნება, იხმარონ ღონისძიება სათანადო რემონტის მოსახდენად.

მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ ღონისძიებათა პროექტი, რაც საჭიროა განსაზოგადოებული სექტორის წისქვილების რემონტის დაფინანსებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ“-ს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ფართოდ აცნობონ გლეხობას, რომ სამინდე გამოსაღები დანიშნულია ადგილობრივი მომარაგებისათვის და იხარჯება იმ ღარიბთა, მოჯამაგირეთა და პროფესიონალური კავშირების წევრთა საჭიროების უზრუნველსაყოფად, რომელნიც სოფლად მუშაობენ და თავიანთი ნათესები არა აქვთ.

18. რადგანაც ა/კსფსრ საწისქვილე მეურნეობა მეტისმეტად გაცვეთილია და დაბალ ტეხნიკურ დონეზე დგას, სამინდე გამოსაღების ნაცვლად შემოსული ფულადი ჯარიმები (იმ 25%-ის თანხების გამოკლებით, რაც „სოიუზხლებ“-ის ხარჯების დასაფარავად მიიღება), გამოყენებულ იქნეს წისქვილთა მშენებლობისათვის.

19. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიიღონ ღონისძიება, რათა სამინდე გამოსაღების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა დარღვევისათვის გადახდევინებული ყველა ჯარიმა სათანადო ორგანოებმა, რომელნიც გადახდევინებას აწარმოებენ, შეიტანონ დაუყოვნებლივ „სოიუზხლებ“-ის მიმდინარე ანგარიშზე.

20. უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაანთავისუფლონ ხოლმე სამინდე გამოსაღებისაგან მთის ცალკეული რაიონები, ხოლო არ-კი შეამცირონ სათანადო რესპუბლიკისათვის დაკისრებული დავალებანი სამინდე გამოსაღების სფეროში.

21. უკეთუ სამინდე გამოსაღები ჩაბარებულ არ იქნება სათანადო რაოდენობით, კულტურით და განსაზღვრულ ვადაზე, სამინდე გამოსაღები, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, გადახდევინებულ უნდა იქნეს ნატურად უდავო წესით.

22. სამინდე გამოსაღების დებულების დარღვევისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი პასუხისმგებლობა:

ა) უკეთუ უდავო წესით გადახდევინების პროცესში საწარმოს მეპატრონეს და მოიჯარეს—ერთმა პირს—სამინდე გამოსაღები ნატურად არ აღმოაჩნდა, აღნიშნულ მეპატრონეს და მოიჯარეს გადაეხდება უდავო წესით, სათანადო საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, ფულად ჯარიმად ხვედრი ნატურალური სამინდე გამოსაღების ღირებულობა არა ნაკლებ, ვიდრე ერთიორად და არა უმეტეს ვიდრე ერთი— ხუთად;

ბ) სამინდე გამოსაღების დებულების სხვა დარღვევისათვის—პირველად—ჯარიმა 100 მანეთამდე, რასაც ადმინისტრატიული წესით დაადებს დამნაშავეს სათანადო საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი; განმეორებითი დარღვევისათვის ან ბოროტი განზრახვით ჩადენილი დარღვევისათვის—სისხლის სამართლის წესით—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლების თანახმად.

23. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა თანამდებობის პირების მიერ სამინდე გამოსაღების დებულების დარღვევისათვის—ეს პირნი პასუხს აგებენ ა/კსფსრ შედგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის შესაფერი მუხლების მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაული.

24. უკეთუ მესაკუთრე ბოროტი განზრახვით დაჰხურავს თავის საწარმოს სამინდე გამოსაღების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ასეთი კერძო საწარმო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩამოერთვას აღნიშნულ პირს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლი).

25. უკეთუ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა კერძო მოიჯარე არ ჩაბარებს გამოსაღებს ან ბოროტი განზრახვით შეაჩერებს საწარმოს მუშაობას გამოსაღების ჩაბარების თავიდან ასაცილებლად, ამ პირთან დადებული ხელშეკრულობა შეიძლება მოშლილ იქნეს სასამართლოს მიერ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

26. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას და მისცენ აღმასრულებელ კომიტეტებს დირექტივი, რომლიათც მათ დაევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ და დახმარება გაუწიონ „სოიუზხლებ“-ს სამინდე გამოსაღების გეგმის შესრულების საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივნისის 29.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 173 №-ში 1930 წ. ივლისის 1-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 1.677. ტირაჟი 850.